PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე გვრიტიშვილი
წევრი: იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

[X] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯში „კონსტრუქტ2“ დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის № MES 6 21 0001053469 ბრძანების საფუძველზე. წარმოების მიზანს წარმოადგენდა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-"კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები(განხორციელების ადგილი:ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. No28), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად, 2021 წლის 26 ოქტომბერს შედგა, ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით. სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის მოწოდებული და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას.

დისტანციური ვიზიტისას ექსპერტების მიერ დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია და შესაბამისი კომპეტენციები. დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი სივრცეები/აუდიტორიები, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.. შეხვედრის დასასრულს, შესწავლილი დოკუმენტაციისა და შეხვედრისას განხილული საკითხების საფუძველზე, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმირება ძირითად მიგნებებთან დაკავშირებით.

წინა წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტთან „მეტწილად შესაბამისად“, რადგან 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილად შესაბამისად“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარე მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ექსპერტთა შეხედულებით 2.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისი“ და აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულად შესაბამისობაშია ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტებისზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)	20	15	0
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (არა ინტეგრირებული)	40	19	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2 კრიტერიუმის (საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი) ფარგლებში წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციები:

2.2.1. - სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალში, სასწავლო რესურსი წარმოდგენილი იყოს საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და ამასთან იძლეოდეს შესაბამის მოდულთან/მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას. - **შესრულებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ 8.1.8 პუნქტის თანახმად „ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით“, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს ელ. რესურსის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ან ელ. მატარებლით.* - **შესრულებულია;**
- *დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის შერჩევისას პროგრამის/შესასრულებელი საქმიანობიდან გამომდინარე კონკრეტული მიზნებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო მიზნებიდან გამომდინარე. ყოველწლიურ სამოქმედო ან/და მიმდინარე გეგმებში, შესასრულებელი ამოცანები იყოს კონკრეტიზებული, რაც გააიოლებს პროცესებთან/სტანდარტებთან/სტრატეგიულ მიზნებთან მათ იდენტიფიცირებას*- **შესრულებულია;**
- *უზრუნველყოფილი იქნეს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი* - **შესრულების პროცესშია.**

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

არ დაფიქსირდა

განმავითარებელი რეკომენდაცია:

2.2.1 (7)

1. პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები და ხარჯები გაიწეროს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის (როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული) გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი გამოვლინდეს ცალ-ცალკე.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ „სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის ბრძანება #170395
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა # 28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო	(დაწესებულების მიერს ტანდარტის საბოლოო	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამები	შეფასება)	შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულად შეესაბამება

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დისტანციური ჩართვისას ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ რესურსის გაცნობა-დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული სწავლებისა და მოდულების პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუნთვნილი აუდიტორიები, განსაზღვრული კვოტის გათვალისწინებით, აღჭურვილია ახალი სასწავლო ინვენტარით/ავეჯით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერები, დემონსტრირების საშუალებები).

მოდულების განხორციელებისთვის განკუთვნილი B გარემო აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პარამეტრების მქონე 20 კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 მასწავლებლის კომპიუტერით. ოთახში ასევე არის პროექტორი, დაფა. აღნიშნული ლაბორატორიის მოწყობა დაწესებულებამ შეძლო მის მფლობელობაში არსებული 20 კომპიუტერის გაძლიერებით პროგრამით გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად, რაზეც არსებობს გაძლიერებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის შესახებ შესყიდვის ხელშეკრულება N79 და მიღება-ჩაბარების აქტი N79 (25/06/21წ).

ამ ეტაპზე დასწესებულებას ჰყავს 24 აქტიური სტუდენტი (15 ინტეგრირებულ და 9 არაინტეგრირებულ პროგრამაზე). სასწავლო გეგმის მიხედვით „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში B გარემოს დატვირთვა ერთი ჯგუფისათვის საშუალოდ შეადგენს 13,5 საათს კვირაში. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით აღნიშნული B გარემო გამოიყენება სხვა პროგრამის სწავლების მიზნებისთვისაც, ჯამური კვირეული დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში შეადგენს მხოლოდ 6 საათს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სწავლებას 2 ცვლის გათვალისწინებით.

დაწესებულება ასევე გეგმავს პროგრამით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისი 30 ახალი კომპიუტერის შესყიდვას, რაზეც პროცესი დაწყებულია. შესყიდვებთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო ტენდერიც, თუმცა ქვეყანაში არსებული პერიოდული კოვიდ შეზღუდვებიდან გამომდინარე, ეს პროცესი ჯერ-ჯერობით დასრულებული არ არის. კომპიუტერების შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამინისტროსთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან არსებული მიმოწერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებული მოდულების (ქიმია/ბიოლოგია/ფიზიკა) ლაბორატორია აღჭურვილია მოდულების სწავლებისთვის აუცილებელი აპარატურით და აღჭურვილობით, ლაბორატორია უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით და გამწოვი მოწყობილობით.

წინა ვიზიტის შემდეგ, არსებული ქვოტის გათვალისწინებით, დაწესებულებამ სრულად შეიძინა 20 პროფესიული სტუდენტზე გათვლილი ფიზიკური/ქიმიური/ბიოლოგიური ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაზეც არსებობს როგორც შესყიდვის ხელშეკრულება N82 (მ/ჩ N82 6/08/21წ), ასევე პირველადი ბუღალტრული დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები). ლაბორატორიისთვის შეძენილია ასევე გამწოვი მოწყობილობა (შესყიდვის ხელშეკრულება N121, მ/ჩ N121 21/09/21წ).

ლაბორატორია გამოიყენება მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ სწავლების პროცესში. აღნიშული ლაბორატორიის კვირეული დატვირვა ერთი ცვლის შემთხვევაში შეადგენს კვირაში 7 საათს, შესაბამისად ლაბორატორიის გამტარუნარიანობა სრულად უზრუნველყოფს ქვოტით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების სწავლებას ცვლების გათვალისწინებით.

ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, პროგრამას პრაქტიკის ობიექტები არ აქვს.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული განათლების მასწავლებლების შეჩევა განხორციელდა კონკურსის წესით, რაც ასევე დაგეგმილი იყო მიმდინრე 2021 წლის სამოქმედო გეგმით. სულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შეირჩა 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი მოდულისგანმახორციელებელი, 6 - ზოგადი საფეხურის ინტეგრირებული მოდულების, ხოლო პროფესიული მოდულების - 3. პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გარდა სალექციო დროისა მოიაზრებს მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, პროფესიული სტუდენტების კონსულტირება-შეფასებას და სხვა. (ოქმი #01 11)

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

დაწესებულებას შერჩეული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. პროფესიული მასწავლებელები ამჟამად გადიან cisco-ს სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების/სერტიფიცირების კურსს IT ESSENTIALS-ში, რომელიც დაწესებულების ხარისხის მენეჯერის თქმით დასრულდება ნოემბერში. ამ ფაქტის მტკიცებულებად, დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

აღნიშნული სერტიფიცირების შემდეგ პროფესიული მასწავლებელები გახდებიან CISCO-ს ინსტრუქტორები და შესაბამისად, წვდომა ექნებათ CISCO-ს სასწავლო რესურსებზე, რაც პროფესიულ სტუდენტებისათვისაც ქმნის შესაძლებლობას, რომ CISCO-ს პლატფორმაზე გაეცნონ სასწავლო მასალას.

ადმინისტრაციასთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მიმართულებით მასწავლებლებს გავლილი აქვთ როგორც დაწესებულების მიერ ორგანიზებული შიდა ტრენინგი, ასევე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა ტრენინგის საორგანიზაციო დოკუმენტები და მასწავლებელთა სახლთან განხორიელებული ელ. მიმოწერა, ვინაიდან ამ ეტაპზე სერიფიკატები მოწოდებული არ იყო.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი, ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია პირი, რომელიც ფლობს კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, აქვს დარგის შესაბამისი კომპეტენცია და შესაბამისობაშია კოლეჯის რეგულაციით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, როგორიცაა: პროგრამის ადმინისტრირების პროცესის კოორდინერება; შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და მათდამი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა და ვალიდაციის შემთხვევაში მისი დადასტურება, გარდა იმ ინსტრუმენტისა, რომლის ავტორიც თავადაა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ; სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაშიაქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში; შესრულების მტკიცებულებების შეგროვების-შენახვისუზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის მენეჯერისთვის გადაცემა; სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების პროცესების საორგანიზაციო პროცესებში ჩართულობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, შეცვლასა და დანერგვაში მონაწილეობა; მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავება, განხორციელებული მოდულის შეფასება და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის მენეჯერებისთვის წარდგენა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობებში ჩართულობა;

აღნიშნული კომპეტენციები ასევე დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით (N08-10 22.02.2020 წ,), სადაც ასევე მითითებულია, რომ პირი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებთან ერთად ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციებსაც. ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, პროგრამის/მოდულის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სეისტემების“ ხელმძღვანელს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დისტანციური შეხვედრისას, ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, როგორც ადგილზე სარგებლობისთვის.

წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მისაღწევ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ელექტრონული სახით, რომლით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია როგორც ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით, ასევე რესურსის გადატანით/გადაგზავნით საკუთარ მოწყობილობაში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-12 მუხლით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და ასევე მე-14 მუხლი „ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა“.

დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს შშმ ან სსსმ სტუდენტები, თუმცა მარეგულირებელ წესებით უზრუნველყოფილია განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათალისწინებით. აღნიშნული რეგულაცია გულისხმობს ამ პირების საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული გარემოს მოწყობას, რომელიშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და შესაბამისი სპეციალისტების - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის სასწავლო პროცესში ჩართვა.

ამასთან, აღნიშნული მარეგულირებელ წესში გაწერილია, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების შინაარსობრივ და/ ან ვიზუალურ ადაპტირებას (მაგ: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი და შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულების დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შპს „ბკ ქონსთრაქშენი“. წესდებით განსაზღვრული დაფინანსების წყაროები შესაძლოა იყოს დამფუძნებელთა ფულადი და არაფულადი შენატანები, ასევე სახელმწიფოს მხრიდან როგორც ვაუჩერული, ისე მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, საგანმანათლებლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 12 პროფესიული სტუდენტი. თუმცა, ბიუჯეტით გაწერილი შემოსავლები და ხარჯები დათვლილია 20 სტუდენტის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, საიდან არის განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი-12 სტუდენტი.

ამასთან, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პროგრამის ბიუჯეტი, სადაც არ არის მითითებული ინტეგრირებულ პროგრამას ეკუთვნის ის თუ არაინტეგრირებულს. ვინაიდან, ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამების დაფინანსების ოდენობა და პროგრამის ხანგრძლივობა (შესაბამისად ხარჯები) განსხვავებულია, საჭიროა, რომ ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი გამოვლინდეს ცალ-ცალკე.

რეკომენდაცია: *ტექნიკურად, პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, კერძოდ თუ პროგრამის წაუგებლობის წერტილი გადის 12 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მიღებულ შემოსავლებზე, ბიუჯეტში შემოსავლებიც და ხარჯებიც დაითვალოს 12 სტუდენტიანი ჯგუფის გათვალისწინებით, რათა დაინტერესებული მხარისათვის უფრო ცხადი გახდეს, რამდენად უზრუნველყოფს ასეთი ჯგუფის შემოსავლები მასთან დაკავშირებულ პირდაპირი და არაპირდაპირი(ზედნადები) ხარჯების დაფარვას.*

ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის (როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული) გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი გამოვლინდეს ცალ-ცალკე.

მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა, ბიუჯეტიდან ჩანს, რომ პროგრამის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება;
- A, B, C სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკისა და დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები (შესყიდვის ხელშეკრულებები, მ/ჩ აქტები)
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტები.

შეფასება:

☒შეესაბამება

☐ჭეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

19/11/2021წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: